ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3529029

ნომერი: AR1535108

თარიღი : 24.08.2017

გაცემის თარიღი : 11.09.2017

გაცნობის თარიღი : 11.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეკინის გამზირი N14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ბრეგვაძე პ/ნ 54001004875
- ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. 30, კორპ I, ბინა 8

ორგანიზაცია:

- შპს ,,პსპ ფარმა" კოდი: 202203123

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ # AR1535108 განცხადებაზე 2017 წლის 07 სექტემბრის # 3522477 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

აღნიშნული გადაწყვეტილებით თქვენ დაგევალათ წარმოგედგინათ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და საპროექტო პანდუსის მოწყობისას გაგეთვალისწინებინათ "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე „ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვარის №41 დადგენილების ნორმები, კერძოდ ამავე დადგენილების მე–3 მუხლის მე–4 პუნქტის მიხედვით, დახრის პროცენტულობა უნდა იყოს სიგრძის 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში სიგრძის 8%).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge